ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

განკარგულება:**გ-13. 1325211001**

თარიღი:**30/07/2025**

ახალციხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის შესრულების

მიმოხილვისა და შეფასების შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ა'' ქვეპუნქტისა და ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი'' საქართველოს კანონის 85-ე მუხლის შესაბამისად,

1. ახალციხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის შესრულება, წარმოდგენილი სახით, შეფასებულ იქნას დამაკმაყოფილებლად.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ახალციხის რაიონულ სასამართლოში. (მისამართი: ქ.ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60 ა).

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ახალციხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

I თავი.

ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლების შესრულება

1) ბიუჯეტის ბალანსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით:

დასახელება	2025 წლის 6 თვე გეგმა			2025 წლის 6 თვე ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
I. შემოსავლები	**24 986,4**	**19 684,5**	**5 301,9**	**23 979,2**	**19 777,7**	**4 201,5**
გადასახადები	17 161,3	17 161,3	-	17 806,1	17 806,1	-
გრანტები	5 860,6	558,7	5 301,9	4 257,0	55,5	4 201,5
სხვა შემოსავლები	1 964,5	1 964,5	-	1 916,1	1 916,1	-
II. ხარჯები	**17 722,4**	**16 973,5**	**748,9**	**13 853,8**	**13 275,5**	**578,2**
შრომის ანაზღაურება	2 686,1	2 686,1		2 318,6	2 318,6	-
საქონელი და მომსახურება	2 071,2	1 707,3	363,9	1 690,7	1 443,3	247,4
პროცენტი	20,0	20,0	-	7,7	7,7	-
სუბსიდიები	10 438,9	10 438,9		7 821,8	7 821,8	-
გრანტები	120,0	120,0	-	120,0	120,0	-
სოციალური უზრუნველყოფა	1 155,5	1 155,5	-	942,0	942,0	-
სხვა ხარჯები	**1 230,7**	845,7	385,0	953,0	622,2	330,8
III. საოპერაციო სალდო	**7 264,0**	**2 711,0**	**4 553,0**	**10 125,5**	**6 502,1**	**3 623,3**
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	**10 196,8**	**5 225,6**	**4 971,2**	**8 173,5**	**4 130,8**	**4 042,7**
ზრდა	**10 436,8**	5 465,6	4 971,2	8 395,9	4 353,2	4 042,7
კლება	**240,0**	240,0		222,4	222,4	
V. მთლიანი სალდო	**-2 932,8**	**-2 514,6**	**-418,2**	**1 952,0**	**2 371,4**	**-419,4**
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	**-2 994,0**	**-2 575,8**	**-418,2**	**1 892,0**	**2 311,4**	**-419,4**
ზრდა	-	-	-	2 311,4	2 311,4	-
ვალუტა და დეპოზიტები	-			2 311,4	2 311,4	-
კლება	2 994,0	2 575,8	418,2	419,4	419,4	-
ვალუტა და დეპოზიტები	2 994,0	2 575,8	418,2	419,4	419,4	-
VII. ვალდებულებების ცვლილება	**-61,2**	**-61,2**	**-**	**-59,9**	**-59,9**	**-**
კლება	61,2	61,2	-	59,9	59,9	-
საშინაო	61,2	61,2	-	59,9	59,9	-
სესხები	-			-	-	-
სხვა კრედიტორული დავალიანებები	61,2	61,2		-	-	-
VIII. ბალანსი	0.0	0.0	-	0,0	0,0	-

2) საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების შედარება შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან

დასახელება	2025 წლის 6 თვე გეგმა			2025 წლის 6 თვე ფაქტი			შესრულების პროცენტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსულობები	**25 226,4**	**19 924,5**	**5 301,9**	**24 201,6**	**20 000,1**	**4 201,5**	**96**	**100**	**79**
შემოსავლები	24 986,4	19 684,5	5 301,9	23 979,2	19 777,7	4 201,5	**96**	**101**	**79**
არაფინანსური აქტივების კლება	240,0	240,0		222,4	222,4		**93**	**93**	
გადასახდელები	**28 220,4**	**22 535,3**	**5 720,1**	**22 309,6**	**17 688,6**	**4 620,9**	**79**	**79**	**81**
ხარჯები	17 722,4	16 973,5	748,9	13 853,8	13 275,5	578,2	**78**	**78**	**77**
არაფინანსური აქტივების ზრდა	10 436,8	5 465,6	4 971,2	8 395,9	4 353,2	4 042,7	**81**	**80**	**81**
ვალდებულებების კლება	61,2	61,2		59,9	59,9		**98**	**98**	
ნაშთის ცვლილება	**6 884,4**	**6 313,2**	**571,2**	**1 892,0**	**2 311,4**	**-419,4**			

ა) საგადასახადო შემოსავლები

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
დამატებული ღირებულების გადასახადი	**12 879,8**	**12 622,2**	**98**
ქონების გადასახადი	**4 281,5**	**5 183,9**	**121**
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	4 225,0	5 130,3	**121**
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1,0	2,2	**220**
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	7,5	5,3	**71**
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	21,9	21,1	**96**
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	26,1	25,0	**96**
გადასახადები სულ	**17 161,3**	**17 806,1**	**104**

ბ) გრანტები

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლა	58,7	55,5	**95**
კაპიტალური ტრანსფერი	4 934,8	3 954,1	**80**
სპეციალური ტრანსფერი			
სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირება	255,1	247,4	**97**
მ.შ. მაღალმთიანი დასახლების ღონისძიებები			
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	612,0	0,0	-
გრანტები სულ	**5 860,6**	**4 257,0**	**73**

გ) სხვა შემოსავლები

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
შემოსავლები საკუთრებიდან	**635,5**	**625,1**	98
პროცენტები	346,9	336,5	97
რენტა	288,6	288,6	100
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	**273,5**	**279,4**	102
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	264,3	258,5	98
სანებართვო მოსაკრებელი	57,0	55,5	97
მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვებზე			

სათამაშო ბიზნესისი მოსაკრებელი	70,8	69,3	98
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი			
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	136,5	133,8	98
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	9,2	20,9	227
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	**1 027,7**	**986,6**	96
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	**27,8**	**25,0**	90
სხვა შემოსავლები სულ	**1 964,5**	**1 916,1**	**98**

დ) არაფინანსური აქტივების კლება

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
ძირითადი აქტივები	40,0	35,4	89
მატერიალური მარაგები	0,0	1,0	-
არაწარმოებული აქტივები	200,0	186,0	93
მიწა	200,0	186,0	93
არაფინანსური აქტივების კლება	**240,0**	**222,4**	**93**

ე) ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
შრომის ანაზღაურება	2 686,1	2 318,6	86
საქონელი და მომსახურება	2 071,2	1 690,7	82
პროცენტები	20,0	7,7	39
სუბსიდიები	10 412,3	7 821,8	75
გრანტები	120,0	120,0	100
სოციალური უზრუნველყოფა	1 155,5	942,0	82
სხვა ხარჯები	1 230,7	953,0	78
ხარჯები სულ	**17 695,8**	**13 853,8**	**78**

ვ) არაფინანსური აქტივების ზრდა

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
არაფინანსური აქტივების ზრდა	**10 436,8**	**8 395,9**	**81**

არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი პროგრამული კლასიფიკაციის კოდების მიხედვით შემდეგია:

პროგრამული კოდი	დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	161,9	132,0	82

02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	7 050,1	5 618,4	80
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	10,0	8,5	85
04 00	განათლება	831,5	565,7	68
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	2 383,3	2 071,2	87
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0,0	0,0	-

ზ) ვალდებულებები

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
საშინაო კრედიტორები	61,2	59,9	98
ვალდებულებების კლება	**61,2**	**59,9**	**98**

ვალდებულებეის კლება წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მიერ 2018-2020 წლებში სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებულ სესხის (დასუფთავების სპეც ტექნიკა) დაფარვას. მგფ-ის მიმართ მუნიციპალიტეტის სასესხო დავალიანება 2025 წლის 1 ივლისისთვის შეადგენდა 196,1 ათას ლარს.

თ) ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

საანგარიშო პერიოდში ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა 6 884,4 ათასი ლარის ოდენობით

(ათას ლარებში)

ფინანსური აქტივების ზრდა	2025 წლის 6 თვის გეგმა	2025 წლის 6 თვის ფაქტიური შესრულება
	6 884.4	**1 892,0**
ვალუტა დეპოზიტები	6 884.4	1 892,0

ი) შესრულება ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2025 წლის 6 თვის გეგმა	2025 წლის 6 თვის ფაქტი	პროცენტი
7.1	**საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება**	**4 039,6**	**3 430,7**	85
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	4 039,6	3 430,7	85
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	3 968,9	3 430,7	87
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	70,7		
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები			
7.2	**თავდაცვა**			
7.2.2	სამოქალაქო თავდაცვა			
7.4	**ეკონომიკური საქმიანობა**	**9 736,7**	**7 559,2**	78

7.4 2	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	501,8	348,7	70
7.4 2 1	სოფლის მეურნეობა	501,8	348,7	70
7.4 5	ტრანსპორტი	7 412,6	5 699,0	77
7.4 5 1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	7 412,6	5 699,0	77
7.4 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	852,0	1 511,5	83
7.5	**გარემოს დაცვა**	**2 529,1**	**1 824,3**	72
7.5 1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	2 529,1	1 824,3	72
7.6	**საბინაო კომუნალური მეურნეობა**	**697,5**	**566,1**	81
7.6 3	წყალმომარაგება	183,0	135,3	74
7.6 4	გარე განათება	413,3	355,7	86
7.6 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	101,2	75,1	74
7.7	**ჯანმრთელობის დაცვა**			
7.7 4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება			
7.8	**დასვენება, კულტურა და რელიგია**	**4 476,5**	**3 614,2**	81
7.8 2	მომსახურება კულტურის სფეროში	2 093,5	1 560,6	75
7.8 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროში	2 383,0	2 053,6	86
7.9	**განათლება**	**5 319,2**	**4 254,0**	80
7.9 1	სკოლამდელი აღზრდა	4 752,0	3 824,0	81
7.9 8	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	567,2	430,0	76
7 10	**სოციალური დაცვა**	**1 395,2**	**1 061,1**	76
7 10 1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	852,4	759,2	89
7 10 11	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	693,9	641,5	93
7 10 12	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	158,5	117,8	74
7 10 2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	25,1	16,7	67
7 10 4	ოჯახების და ბავშვების სოციალური დაცვა	68.2	36,4	53
7 10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	449,5	248,7	55
	სულ	**28 193,8**	**22 309,6**	79

II თავი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების შესრულება

მუნიციპალიტეტის 2025 წლის პირველ ორ კვარტალში ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებამ 22 309,6 ათასი ლარი შეადგინა, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (28 220,4) 79 პროცენტია.

პრიორიტეტების მიხედვით დაფინანსების სტრუქტურა შემდეგია:

ხარჯების სტრუქტურა პრიორიტეტების მიხედვით			
პროგ. კოდი	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	2025 წლის 6 თვე ფაქტი	%
სულ	მუნიციპალიტეტის ასიგნებები	22 309,6	79
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	3 498,3	84
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	8 125,3	78
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1 756,7	72
04 00	განათლება	4 093,5	80
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	3 774,8	81
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1 061,1	76

1) მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (ორგანიზაციული კოდი 01 00)

საანგარიშო პერიოდში მართველობის და საერთო დანიშნულების ხარჯებმა 3 498,3 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმიური მაჩვენებლის (4 145,8 ათასი ლარი) 84 პროცენტია.

აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა შემდეგი მიმართულებები: 1. მმართველობითი ხარჯი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა - 961,2 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მერია - 2 469,4 ათასი ლარი, 2. საერთო დანიშნულების ხარჯი: სარეზერვო ფონდიდან (გეგმა-200,0 ათასი ლარი) მერის გადაწყვეტილებით გახარჯულია 129,3 ათასი ლარი. მათ შორის:

N	ორგან.კოდი	ბრძანების ნომერი	ხარჯის დანიშნულება	თანხა
1	05 01 01	N ბ12 122506638 07.03.2025	გურამ დიასამიძისთვის 2025 წლის 13-16 მარტს ქალაქ ვილნიუსში ფეხბურთის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისარებად	**1 000,00**

2	06 02 06	ბ12 122507910 20.03.2025	არუთუნ აგაბაბიანის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის აღმოსაფხვრელად	**689**
3	06 02 06	ბ12 12250795 20.03.2025	ნიკალაი პასტერნაკის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის აღმოსაფხვრელად	**200**
4	06 02 06	ბ12 122507913 20.03.2025	ომარი ჯაყელის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის აღმოსაფხვრელად	**2000**
5	06 02 06	ბ12 122507912 20.03.2025	ციცინო მავზარაშვილის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის აღმოსაფხვრელად	**300**
6	06 02 06	ბ12 12250798 20.03.2025	თამილა გიორგაძის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის აღმოსაფხვრელად	**300**
7	06 02 06	ბ12 12250797 20.03.2025	ნატალია ვლასოვას მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის აღმოსაფხვრელად	**800**
8	06 02 06	ბ12 122506632 07.03.2025	ნატალია მეხრიშვილის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის აღმოსაფხვრელად	**1500**
9	06 02 06	ბ12 122506628 07.03.2025	ხათუნა პაპიძის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის აღმოსაფხვრელად	**1800**
10	06 02 06	ბ12 122506637 07.03.2025	ირინა მალხასიანის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის აღმოსაფხვრელად	**1500**
11	06 02 06	ბ12 122506629 07.03.2025	სონია საფარიანის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის აღმოსაფხვრელად	**300**
12	06 02 06	ბ12 122506631 07.03.2025	მარინა პაპიძისთვის თავისი არასრულწლოვანი შვილების - დავით და დემეტრე დიასამიძეების საზღვარგარეთ ტრანსპორტირებისა და საყოფაცხოვრებო ხარჯების დაფინანსებისთვის	**3000**
13	06 02 06	ბ12 122506640 07.03.2025	ბაღდასარ ოგანესიანის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის აღმოსაფხვრელად	**1300**
14	06 02 06	ბ12 122506641 07.03.2025	აზგანუშ ირიციანის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის აღმოსაფხვრელად	**1500**
15	06 02 06	ბ12 1225059001 28.02.2025	ხათუნა კახიძის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის აღმოსაფხვრელად	**300**
16	06 02 06	ბ12 12250593 28.02.2025	ნუნუ გაჩეჩილაძის მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსებისთვის	**845.40**
17	06 02 06	ბ12 12250596 28.02.2025	თამარი პანიატოვსკის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის აღმოსაფხვრელად	**1018,50**
18	06 02 06	ბ12 122504320 12.02.2025	მანანა მჭედლიძის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის აღმოსაფხვრელად	**2000**
19	06 02 06	ბ12 122504315 12.02.2025	უჩა გოგოლაურის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის აღმოსაფხვრელად	**500**
20	06 02 06	ბ12 122504318 12.02.2025	სარქის გრიგორიანის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის აღმოსაფხვრელად	**1000**
21	06 02 06	ბ12 122504319 12.02.2025	რუბენ გრიგორიანის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის აღმოსაფხვრელად	**500**
22	06 02 06	ბ12 122504322 12.02.2025	დავით ცერცვაძის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის აღმოსაფხვრელად	**250**
23	06 02 06	ბ12 122504310 12.02.2025	გაიანე მინასიანის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის აღმოსაფხვრელად	**600**
24	06 02 06	ბ12 122504321 12.02.2025	ლევონ აგაჯანიანის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის აღმოსაფხვრელად	**1000**
25	06 02 06	ბ12 122502719 27.01.2025	ვარდუი გრიგორიანის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის აღმოსაფხვრელად	**700**
26	06 02 06	ბ12 122502756 27.01.2025	ლილია მურმანიშვილისთვის დაზიანებული საცხოვრებელი სახლის აღდგენის მიზნით სარეზერვო ფონდიდან დაფინანსების გამოყოფასთან დაკავშირებით	**4000**

27	06 02 06	B12 122502756 27.01.2025	თამარა თუმასიანისთვის დაზიანებული საცხოვრებელი სახლის აღდგენის მიზნით სარეზერვო ფონდიდან დაფინანსების გამოყოფასთან დაკავშირებით	**540**
28	06 02 06	B12 122502756 27.01.2025	მედეია ყირიმლიშვილისთვის დაზიანებული საცხოვრებელი სახლის აღდგენის მიზნით სარეზერვო ფონდიდან დაფინანსების გამოყოფასთან დაკავშირებით	**3000**
29	06 02 06	B12 122502717 27.01.2025	ირმა ოქრომელიძის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის აღმოსაფხვრელად	**250**
30	06 02 06	B12 122502718 27.01.2025	თინა ბიბილურიძის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის აღმოსაფხვრელად	**250**
31	06 02 06	B12 122502748 27.01.2025	გიორგი ხუციშვილის დაზიანებული სახლის აღდგენის მიზნით	**2500**
32	06 02 06	B12 122502715 27.01.2025	ალბერტ აკოფიანის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის აღმოსაფხვრელად	**250**
33	06 02 06	B12 122502746 27.01.2025	იამზე დიასამიძის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის აღმოსაფხვრელად	**250**
34	06 02 06	B12 122502711 27.01.2025	ნინო მელიქიძის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის აღმოსაფხვრელად	**350**
35	06 02 06	B12 122502729 27.01.2025	სარქის აკოფიანის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის აღმოსაფხვრელად	**1000**
36	06 02 11	B12 122508023 21.03.2025	მარიამ ცხოვრებაძის სამედიცინო მომსახურების დაფინანსებისთვის	**1500**
37	06 02 11	B12 12250796 20.03.2025	ნატო ლომიძის სამედიცინო მომსახურების დაფინანსებისთვის	**495**
38	06 02 11	B12 122507911 20.03.2025	ნინო ჯვარიძის სამედიცინო მომსახურების დაფინანსებისთვის	**494,76**
39	06 02 11	B12 122507020 11.03.2025	დავით გვრიტიშვილის სამედიცინო მომსახურების დაფინანსებისთვის	**1200**
40	06 02 11	B12 122506630 07.03.2025	ნოდარი ხოსიტაშვილის სამედიცინო მომსახურების დაფინანსებისთვის	**1000**
41	06 02 11	B12 1225064011 05.03.2025	ასტხიკ აჩიკიანის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების შედეგად დარჩენილი დავალიანების დაფინანსებისთვის	**600**
42	06 02 11	B12 12250636 04.03.2025	ზეზვა გელაშვილის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	**2500**
43	06 02 11	B12 12250597 28.02.2025	ლუიზა ლომიძის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	**400**
44	06 02 11	B12 122505910 28.02.2025	თეიმურაზ ჩადუნელის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	**500**
45	06 02 11	B12 12250592 28.02.2025	საბა მერაბიშვილის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	**900**
46	06 02 11	B12 12250594 28.02.2025	ლენა კინოსიანის ჰიგიენური მოვლის საშუალებების დაფინანსებისთვის	**450**
47	06 02 11	B12 12250595 28.02.2025	ლაშა აბრამიშვილის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების შედეგად დარჩენილი დავალიანების დაფინანსებისთის	**678**
48	06 02 11	B12 12250442 14.02.2025	თამარ კილაძის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	**2000**
49	06 02 11	B12 122504314 12.02.2025	მაია ათოშვილის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	**3675**
50	06 02 11	B12 122504323 12.02.2025	ტერეზა ამბარცუმიანის მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსება	**3500**
51	06 02 11	B12 122504317 12.02.2025	შორენა აღლემაშვილის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების შედეგად დარჩენილი დავალიანების დაფინანსებისთვის	**1500**
52	06 02 11	B12 122504316 12.02.2025	ქეთი კაპანაძის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების შედეგად დარჩენილი დავალიანების დაფინანსებისთვის	**270**
53	06 02 11	B12 12250439 12.02.2025	გურამ ტონაკანიანის მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსებისთვის	**395,68**
54	06 02 11	B12 122502710 27.01.2025	ნუცა გელაშვილის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების შედეგად დარჩენილი	**1200**

			დავალიანების დაფინანსებისთვის	
55	06 02 11	B12 122502714 27.01.2025	მედეა ჩიქოვანის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	**1000**
56	06 02 11	B12 122502712 27.01.2025	ნიკა ლაზარაშვილის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების შედეგად დარჩენილი დავალიანების დაფინანსებისთვის	**552,40**
57	06 02 11	B12 122502716 27.01.2025	ლიანა აწყურელის სამედიცინო მომსახურების დაფინანსებისთვის	**700**
58	06 02 11	B12 122502713 27.01.2025	ნანა უსოვისთვის თავისი შვილის, ანასტასია კუპრაძისთვის რეკომენდირებული ტერფის ორმაგი ორთეზის დაფინანსებისთვის	**1000**
59	06 02 01	B12 12251714 20,06,2025	მარინე მამულაშვილისთვის დედის - სარა მამულაშვილის დაკრძალვისა და სხვა სარიტუალო პროცედურების დაფინანსება	**870**
60	06 02 06	B12 12251715 20.06.2025	ლაშა აბრამიშვილის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის აღმოსაფხვრელად	**750**
61	06 02 06	B12 12251717 20.06.2025	ზაზა ხრიკაძის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის აღმოსაფხვრელად	**200**
62	06 02 06	B12 122515519 04.06.2025	ირაკლი ივანიძის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის აღმოსაფხვრელად	**250**
63	06 02 06	B12 12251334 13.05.2025	ტარიელ კეღოშვილის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის აღმოსაფხვრელად	**400**
64	06 02 06	B12 1225128001 08.05.2025	მიხეილ მესხის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის აღმოსაფხვრელად	**2000**
65	06 02 06	B12 12251274 07.05.2025	ლიანა კენჭოშვილის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის აღმოსაფხვრელად	**2400**
66	06 02 06	B12 12251007 10.04.2025	მაია დევნოსაძის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის აღმოსაფხვრელად	**400**
67	06 02 06	B12 122509830 08.04.2025	დავით ცერცვაძის კომუნალური ხარჯების დაფინანსებისთვის	**130**
68	06 02 06	B12 122509831 08.04.2025	დონარა ბახჩინიანის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის აღმოსაფხვრელად	**800**
69	06 02 06	B12 122509832 08.04.2025	მარიამ ზედგინიძის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის აღმოსაფხვრელად	**300**
70	06 02 06	B12 122509829 08.04.2025	ალექსანდრე გოზალიშვილის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის აღმოსაფხვრელად	**400**
71	06 02 06	B12 122509826 08.04.2025	ნუგზარ ნატროშვილის დედის - მარინა ნატროშვილის დაკრძალვისა და სხვა სარიტუალო პროცედურების დაფინანსებისთის	**800**
72	06 02 11	B12 12251746 23.06.2025	გულნარა დიასამიძის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების შედეგად დარჩენილი დავალიანების დაფინანსება	**300**
73	06 02 11	B12 12251745 23.06.2025	გიორგი კაპანაძის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	**2000**
74	06 02 11	B12 12251713 20.06.2025	ელენე მინაშვილის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	**400**
75	06 02 11	B12 12251712 20.06.2025	გიორგი ხვედელიძის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	**1300**
76	06 02 11	B12 12251716 20.06.2025	ნატალია ბლიაძის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	**1000**
77	06 02 11	B12 12251612 10.06.2025	აშოთ ლალიანისთვის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების შედეგად დარჩენილი დავალიანების დაფინანსება	**480**
78	06 02 11	B12 122515514 04.06.2025	ნანული სუდაძის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	**2000**
79	06 02 11	B12 122515515 04.06.2025	შორენა ბერიძის მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსება	**500**
80	06 02 11	B12 122515516 04.06.2025	მედეა ჩიქოვანის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	**500**
81	06 02 11	B12 122515517 04.06.2025	მამუკა ბერიძისთვის საზღვარგარეთ ჩასატარებელი სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	**5000**

82	06 02 11	ბ12 122515518 04.06.2025	გიორგი ჯვარიძის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	**2500**
83	06 02 11	ბ1212251352 15.05.2025	ანაიდა კირაკოზიანის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	**1500**
84	06 02 11	ბ12 12281333 13.05.2025	მკრტიჩ ანდრანიკიანის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	**1300**
85	06 02 11	ბ12 122512711 07.05.2025	გოჩა მიქაბერიძის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების შედეგად დარჩენილი დავალიანების დაფინანსება	**600**
86	06 02 11	ბ12 12251275 07.05.2025	ხაჩატურ ფიშიანისთვის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების შედეგად დარჩენილი დავალიანების დაფინანსება	**200**
87	06 02 11	ბ12 12251276 07.05.2025	სუსანა ამბარცუმიანის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების შედეგად დარჩენილი დავალიანების დაფარვა	**160**
88	06 02 11	ბ12 122512710 07.05.2025	არუთუნ ოსეფიანის საზღვარგარეთ ჩატარებული სამედიცინო მომსახურების შედეგად დარჩენილი დავალიანების დაფინანსება	**3000**
89	06 02 11	ბ12 12251277 07.05.2025	ნინო ბლუაშვილის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	**1000**
90	06 02 11	ბ12 12251278 07.05.2025	თინათინი ტეფნაძის საზღვარგარეთ ჩასატარებელი სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	**5000**
91	06 02 11	ბ12 12251279 07.05.2025	ელიოზ ბარბლიშვილის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების შედეგად დარჩენილი დავალიანების დაფინანსება	**1500**
92	06 02 11	ბ12 1225119001 29.04.2025	გელა მაზმიშვილის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	**1500**
93	06 02 11	ბ12 122510711 17.04.2025	ეთერი გზირიშვილის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	**1500**
94	06 02 11	ბ12 122510712 17.04.2025	მარიამი ბერიძის საზღვარგარეთ ჩასატარებელი სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	**2500**
95	06 02 11	ბ12 122509833 08.04.2025	ლიანა მიქელაძის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	**2500**
96	06 02 11	ბ12 1225100001 10.04.2025	შოთა ბალახაშვილისთვის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების შედეგად დარჩენილი დავალიანების დაფინანსება	**5000**
97	06 02 11	ბ12 122509836 08.04.2025	ელლა სარქისიანის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	**900**
98	06 02 11	ბ12 122509835 08.04.2025	თეა ტაბატაძის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	**1500**
99	06 02 11	ბ12 122509828 08.04.2025	კარაპეტ კირაკოსიანის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების შედეგად დარჩენილი დავალიანების დაფარვა	**3000**
100	06 02 11	ბ12 122509827 08.04.2025	ნატალია ქიმერიძის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	**600**

ადმინისტრაციული შენობების დაცვის მომსახურებამ შეადგინა 157,4 ათასი ლარი.

2) **ინფრასტრუქტურის განვითარება (ორგანიზაციული კოდი 02 00)**

ინფრასტრუქტურის განვითარება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 8 125,3 ათასი ლარით, რაც გეგმის 80 პროცენტია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
02 00	**ინფრასტრუქტურის განვითარება**	**10 434,2**	**8 125,3**	**78**
02 01	**საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება**	**3 947,0**	**3 104,1**	**79**
02 01 01	გზების მიმდინარე შეკეთება	51,8	36,3	70
02 01 02	ახალი გზების მშენებლობა	3 794,0	2 992,7	79
02 01 03	ნაპირსამაგრი სამუშაოები	101,2	75,1	74
02 02	**წყლის სისტემების განვითარება**	**684,8**	**484,0**	**71**
02 02 03	წყალსადენისა და საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია	182,9	135,3	74
02 02 04	ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება და წყალანირება	501,8	348,7	70
02 03	**გარე განათება**	**413,3**	**355,7**	**86**
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	320,0	268,6	84
02 03 02	გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა	93,3	87,2	94
02 04	**მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება**	**3 566,8**	**2 670,0**	**75**
02 04 01	ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალური ტრანსპორტი	1 411,9	815,1	58
02 04 02	მუნიციპალური ტრანსპორტის განახლება	2 154,9	1 854,9	86
02 07	**კეთილმოწყობა**	**1 676,3**	**1 399,1**	**84**
02 07 01	საკადასტრო აზომვითი ნახაზები, ესკიზებისა და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა	344,9	254,5	74
02 07 02	შენობების ფასადების და სახურავების რეაბილიტაცია	879,1	773,0	88
02 07 03	პარკებისა და სკვერების მშენებლობა-რეაბილიტაცია	191,6	170,8	89
02 07 04	სოფლის მხარდაჭერის ქვეპროგრამა	260,8	200,9	77
02 08	**სარიტუალო ღონისძიებები**	**146,0**	**112,4**	**77**
02 08 01	ა(ა)იპ ახალციხის სასაფლაოების მართვის ცენტრი	146,0	112,4	77

1. ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა, წყალმომარაგების ქსელების

რეაბილიტაციის სამუშაოები, გატარდა კეთილმოწყობის ღონისძიებები. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდა მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 01)

ა) ა. გზების მიმდინარე შეკეთება (პროგრამული კოდი 02 01 01)

ვიდეოკამერების მომსახურება
გზების პერიოდული შეკეთება.

ა) ბ. ახალი გზების მშენებლობა (პროგრამული კოდი 02 01 02)

ქალაქ ახალციხეში გამსახურდიას ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
ქალაქ ახალციხეში საფარის ქუჩაზე საფეხმავლო ბილიკის, ახალქალაქის გზატკეცილის გზის მონაკვეთის, ყოფილი ზარზმელის ქუჩის მონაკვეთის, რუსთაველის ქუჩის N122-ის ეზოს, რუსთაველის ქუჩის N134-ის მიმ დებარედ, ბექა ჯაყელის 1-ლი ჩიხის მიმდებარედ და N61ზ-ის მიმდებარედ გზის რეაბილიტაცია და რუსთაველის ქუჩის N124-ში I და II კორპუსების მიმდებარედ პარკინგის მოწყობის სამუშაოები;
ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ აწყურის და სოფელ თისელის დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ აწყურში მე-6 ქუჩის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყემლანაში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალეში ბარათაშვილის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფლ წნისის ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
ქალაქ ახცალციხეში ყაზბეგის ქუჩაზე არსებული ხიდის რეაბილიტაცია;
ქალაქ ახალციხეში თამარაშვილის ქუჩაზე არსებული კიბეების რეაბილიტაცია;
ახალციხის მუნიციპალიტეტში ხაშური-ახალციხე-ვალე (თურქეთის საზღვართან) მდებარე სტელისა და თამარაშვილსი N2ა-ში მდებარე სამამულო ომში დაღუპულთა მემორიალის რეაბილიტაცია;

ა) გ. ნაპირსამაგრი სამუშაოები (პროგრამული კოდი 02 01 03)

ქალაქ ახალციხეში ასპინძის ქუჩის მიმდებარედ ფოცხოვის წყალზე ნაპირდამცავი ნაგებობის მოწყობა;

ბ. წყლის სისტემების განვითარება (პროგრამული კოდი 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიატორიაზე სოფლების სასმელი წყლის სათავე-ნაგებობის რეაბილიტაცია,

ბ) ა. წყალსადენისა და საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 02 03)

ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ღრელის წყალმომარაგების სათავე ნაგებობის და მაგისტრალური მილსადენის რეაბილიტაცია.

ბ) ბ. ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება და წყალანირება (პროგრამული კოდი 0 20 204)

შუალედური შედეგი

- საკანალიზაციო-სანიაღვრე სისტემის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა;
- სანიაღვრე არხების რეაბილიტაციამ გააუმჯობესა სანიაღვრე არხებში წყალგამტარიანობა

გ) გარე განათება (პროგრამული კოდი 02 03)

გ) ა. გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 03 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის მოვლა - პატრონობა და მოხმარებული ელექტრო ენერგიის ღირებულების დაფარვა.

გ) ბ. გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა

შუალედური შედეგი
- ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა;
- განათებული ქუჩების რაოდენობა და განათების ინტენსივობა.

დ) მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება (პროგრამული კოდი 02 04)

დ) ა. ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალური ტრანსპორტი (პროგრამული კოდი 02 04 01)
ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ ,,ახალციხის მუნიციპალური ტრანსპორტი“, რომელიც ახორციელებს ახალციხის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოქალაქეთა მომსახურებას. ორგანიზაციის ავტოპარკი შედგება საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით მუნიციპალიტეტისთვის შეძენილი 18 ერთეული ავტობუსისგან. ტრანსპორტის ბაზა-ავტოსადგომი მდებარეობს ქალაქ ახალციხის მიმდებარედ.

დ) ბ. მუნიციპალური ტრანსპორტის განახლება (პროგრამული კოდი 02 04 02)

ე) კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 02 07)

მიმდინარე წელს ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფლებში, ქალაქ ახალციხეში და ქალაქ ვალეში განხორციელდა კეთილმოწყობის შემდეგი ღონისძიებები:

ე) ა. საკადასტრო აზომვითი ნახაზები, ესკიზებისა და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა (პროგრამული კოდი 02 07 01)

გზებისა და ნაპირსამაგრების საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება;
წყლის სისტემების საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება;
საკანალიზაციო სისტემების საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება.

ე) ბ. შენობების ფასადების და სახურავების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 07 02)

ქალაქ ახალციხეში იაძის ქუჩის N15-ში საცხოვრებელი სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
ქალაქ ახალციხეში კოსტავას ქუჩის N45-ში საცხოვრებელი სახლის ფასადის რეაბილიტაცია;
ქალაქ ახალციხეში ნათენაძის ქუჩის N28-ში საცხოვრებელი სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები
ქალაქ ახალციხეში კოსტავას ქუჩის N18-ში არსებული შენობის ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები;
ქალაქ ახალციხეში ადიგენის ქუჩის N20-ში და N2-ში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების ფასადის და სადარბაზოების რეაბილიტაცია;

ე) გ. პარკებისა და სკვერების მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 07 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახალი პარკებისა და სკვერების მოწყობა და არსებული პარკებისა და სკვერების კეთილმოწყობა, რეაბილიტაცია.

ე) დ. სოფლის მხარდაჭერის ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 02 07 04)

სოფლის მხარდაჭერის ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობის საჭიროებისამებრ მოთხოვნილი სამუშაოები: შიდა გზების რეაბილიტაცია, სპორტული ტრენაჟორების მოწყობა, გარე განათების ქსელის მოწყობა, სარწყავის სისტემის არხის რეაბილიტაცია.

ვ) სარიტუალო ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 08)

ვ) ა. ა(ა)იპ ახალციხის სასაფლაოების მართვის ცენტრი (პროგრამული კოდი 02 08 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქალაქ ახალციხის ტერიტორიაზე არსებულ 7 სასაფლაოზე გასასვლელების, სავალი გზების მოწყობა, გამწვანება, შემოღობვა, კეთილმოწყობა, საფლავების მოვლა-პატრონობა.

3. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

დასუფთავების და გარემოს დაცვა საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 1 756,7 ათასი ლარით, რაც გეგმის 72 პროცენტია. აღნიშნული თანხით დაფინანსდა დასუფთავების და ნარჩენების გატანის ქვეპროგრამა და ა(ა)იპ ახალციხის სერვის ჯგუფი.

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
03 00	**დასუფთავება და გარემოს დაცვა**	**2 447,9**	**1 756,7**	**72**
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	70,0	66,9	96
03 02	ა(ა)იპ ახალციხის სერვის ჯგუფი	2 377,9	1 689,7	71

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის მთელი ტერიტორიის დასუფთავება, მოვლა-პატრონობა, რაც თავის მხრივ მოიცავს მუნიციპალიტეტის ქალაქების, სოფლების, ქუჩებისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების, ეზოების, პარკების დაგვას, ნარჩენების შეგროვებას და გატანას. მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ასევე პრიორიტეტულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საავტომობილო გზებისა და მიმდებარე ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის სამუშაოების უზრუნველყოფა. ქვეპროგრამის ფარგლებში იგეგმება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოხეტიალე უპატრონო ცხოველების იმუნიზაცია, კასტრაცია და სტერილიზაცია. ისეთი ხარჯები, როგორიცაა ყოველდღიურად ნარჩენების მოგროვება და გატანა ნაგავსაყრელ პოლიგონზე ფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან, კერძოდ, დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის პროგრამიდან. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ნაგვის გატანაზე მუშაობს 12 ნაგავმზიდი სატრანსპორტო საშუალება. ქუჩების გადასარეცხად და მწვანე ნარგავების მოსარწყავად, ქუჩების გასაწმენდად და მტვრის ასაღებად ორგანიზაცია იყენებს სპეციალიზირებულ სატრანსპორტო საშუალებებს.

4. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

საგანმანათლებლო ღონისძიებები 2025 წლის იანვარ-ივნისის განმავლობაში დაფინანსდა 4 093,5 ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის - 5 143,7 ათასი ლარის 80 პროცენტია. აღნიშნული თანხებიდან სკოლამდელი აღზრდის დაფინანსებაზე მიმართული იქნა 3 313,0 ათასი ლარი, ხოლო განათლების დაწესებულებების

რეაბილიტაცია-მშენებლობას მოხმარდა 758,5 ათასი ლარი, მათ შორის: სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა დაფინანსდა 511,1 ათასი ლარით, ახალციხის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და ტრანსპორტით უზრუნველყოფა კი 247,4 ათასი ლარით, ასევე გაიცა ახალციხის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებზე - 22,0 ათასი ლარი.

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
04 00	განათლება	**5 143,7**	**4 093,5**	**80**
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	4 038,8	3 313,0	82
04 01 01	ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება	4 038,8	3 313,0	82
04 02	განათლების დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	1 079,9	758,5	70
04 02 01	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა	713,2	511,1	72
04 02 02	ახალციხის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და ტრანსპორტით უზრუნველყოფა	366,7	247,4	68
04 03	ახალციხის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს	25,0	22,0	88

ა) სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ 24 სკოლამდელი-სააღმზრდელო დაწესებულებაში რეგისტრირებულია 1 679 აღსაზრდელი. დაფინანსდა აღსაზრდელთა დღეში სამჯერადი კვება. თითოეულ ბავშვზე კვების ხარჯი დღეში საშუალოდ 5,75 ლარს შეადგენს.

ყველა საბავშო ბაღში, სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად, უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით, სამზარეულოებში გამოიყენება ელექტროქურები.

შუალედური შედეგი

- საბავშვო ბაგა-ბაღები სტანდარტის შესაბამისი პირობებითაა უზრუნველყოფილი,

ბ) განათლების დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა (პროგრამული კოდი 04 02)

2025 წელს განხორციელდა ქალაქ ახალციხის N5 საბავშო ბაგა-ბაღის ეზოს და ღობის სარეაბილიტაციო სამუშაოები, იაძის ქუჩაზე N 12-ში მდებარე საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობის სამუშაოები, ქალაქ ახალციხეში ასპინძის ქუჩის N5-ში და ივერიელის ქუჩის N6-ში საბავშო ბაღების გათბობის სისტემის მოწყობა.

